IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

თებერვალი 2017

IDFI საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ - სასამართლო დავის შეჯამება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) წინააღმდეგ. სამინისტროს მოთხოვნას წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც ეკონომიკის სამინისტროს დაევალა გაეცა ინფორმაცია მის მიერ 2014 წელს გაწეული ისეთი ადმინისტრაციული ხარჯის შესახებ როგორიც არის პრემიები, დანამატები, სამივლინებო ხარჯები, გამარტივებული შესყიდვები, როუმინგის ხარჯები და სხვა.

განცხადება „რუსთავი 2“-ის საქმის მოსამართლეების კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობასა და მათზე სავარაუდო ზეწოლასთან

არსებულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე მედია საშუალებები აცნობიერებდნენ პასუხისმგებლობას იმის თაობაზე, რომ საზოგადოებას მიეწოდოს ობიექტური და ამომწურავი ინფორმაცია საქმის განმხილველ მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლისა და კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობის თაობაზე გავრცელებულ განცხადებებთან დაკავშირებით.

1921 წლის 25 თებერვალი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის დღეა

25 თებერვალს, 11:00 საათიდან 16:00 საათამდე პარლამენტის შენობის წინ - საზოგადოება „მემორიალმა“ და ID-FI-მ რუსთაველის გამზირზე გამართეს გამოფენა თემაზე: „გასაბჭოების შედეგები საქართველოში რეპრესირებულთა ფოტოებისა და სიების სახით“. გამოფენა ეძღვნებოდა ოკუპაციის პირველ წლებში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დახვრეტილ პატრიოტთა ხსოვნას. გამოფენის მოწყობის მიზანს წარმოადგენდა ანტიჰუმანური რეჟიმის, ბოლშევიზმის, ქმედებათა შეხსენება მოსახლეობისათვის, რომლის 62% თურმე, სტალინელთა აზრით, მისტირის საბჭოთა კავშირს.

რისკები და ხარვეზები ფარული მოსმენების ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა გვთავაზობს

6 თებერვალს უმრავლესობამ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც ფარული მომენების განხორციელებას ახლებურად არეგულირებს. კანონპროექტის თანახმად, იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას განახორციელებს. სააგენტოს ფარული მოსმენების ტექნიკურად განხორციელებასთან ერთად აქვს არაერთი ფუნქცია, რაც მას დაინტერესებულ სუბიექტად აქცევს, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. სააგენტოს ასევე ეძლევა უფლებამოსილება, გააკონტროლოს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიები. შესაბამისად, დამოუკიდებელი სტრუქტურის შექმნის ნაცვლად, კანონპროექტით იქმნება სუს-ის ერთეული კიდევ უფრო მეტი უფლებამოსილებით და ამ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების რისკით.

კოალიცია ,,მედიის ადვოკატირებისთვის" საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე პროცესებს ეხმაურება

Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

„რეალური სივრცე" თავისი არსით არის ჭეშმარიტად საზოგადოებრივი პლატფორმა, ქართულ მედია სივრცეში ერთ-ერთი წარმატებული თოქ-შოუ, რომელიც სიღრმისეულად, სხვადასხვა კუთხით განიხილავს აქტუალურ და მწვავე თემებს. ამისათვის პროექტს არა ერთი პროფესიული ჯილდო და აღიარება ერგო, კოალიცია მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის არც ერთი გადაცემა არ უნდა დაიხუროს მანამ, სანამ გადაწყვეტილების მიმღები პირები არ დაასაბუთებენ გადაცემების დახურვის გადაწყვეტილებას და არ წარმოადგენენ კონკრეტულ სამაუწყებლო ბადეს თუ რას სთავაზობენ მაყურებელს სანაცვლოდ.

IDFI-ის მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით

ვფიქრობთ, კონსტიტუციური ცვლილებების პროექტზე მუშაობისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ისეთი საკითხები როგორებიცაა: კარგი მმართველობა, ინტერნეტის თავისუფლება და უფლება 'კარგ ადმინისტრირებაზე'. სწორედ მოცემული მიმართულებით IDFI-მ მოამზადა რეკომენდაციები საქართველოს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

კოალიცია „ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის" მადლობას უხდის ევროკავშირს საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭებისთვის

დღევანდელი დღე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში თითოეული ღირსეული მოქალაქის, საჯარო მოხელის თუ კონკრეტული პოლიტიკოსის თანმიმდევრული და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. წარსულშიც და მომავალშიც საქართველოს წარმატება საერთო მიზნის მისაღწევად საზოგადოების კონსოლიდაცის და გაერთიანების საფუძველზე იყო და არის შესაძლებელი. ქართველმა ხალხმა არაერთხელ დაამტკიცა ქვეყნის ისტორიული ევროატლანტიკური არჩევანისა და დასავლური ღირებულებების მიმართ ერთგულება, რაც მომავალში ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში დაბრუნების გარანტი გახდება.

მუდმივი საცხოვრებლის მოლოდინში მყოფი დევნილი ოჯახები - შეზღუდული სახელმწიფო რესურსი თუ არასაკმარისი პოლიტიკური ნება



IDFI მიიჩნევს, რომ წლების განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებების მიერ სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიის პირობებში, შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების მოძიება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფას. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემიებისა და დანამატების სახით გაცემულია გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე მიახლოებითი გათვლებით (1,5 მილიარდი ლარი) საჭიროა სახელმწიფოსგან გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართის მიღების მოლოდინის მქონე ოჯახების დასაკმაყოფილებლად. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებების მიხედვით, 2011 წლიდან 2016 წლის პირველი 8 თვის ჩათვლით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ საშტატო თანამშრომლებზე პრემიისა და დანამატის სახით გაცემულია 1,735,331,710 ლარი. სამწუხაროდ, 2011 წლამდე მსგავსი მონაცემები ინსტიტუტისათვის უცნობია, თუმცა არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, 2008 წლიდან მხოლოდ პრემია/დანამატებზე 50%-იანი ეკონომიის და დაზოგილი თანხების დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის მიმართვის პირობებში, დღეის მდგომარეობით ყველა დევნილი ოჯახი საქართველოში უკვე უზრუნველყოფილი იქნებოდა მუდმივი საცხოვრებლით.

საქართველო 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში

ეკონომიკური თავისუფლება ევროპაში

მსოფლიო რეიტინგი	ევროპული რეიტინგი	ქვეყანა	საერთო ქულა	ცვლილება (2016)	საკუთრების უფლება	სამართლიანი სასამართლო	მიფერობის კეთილდ.	საგადასახადო ტვ	საბიუჯეტო ხარჯი	ფისკალური სიჯან.	ბიზნესის თავისუფ.	შრომის თავისუფ.	ინტელექტუალი თა.	ვალუტა	ინფლაციური თავ.	ფულადი თავისუფ.
4	1	შვეიცარია	81.5	0.5	86.9	77.6	80.3	70.9	67.5	95.8	76.8	72.2	84.4	90.0	85	90
6	2	ესტონეთი	79.1	1.9	82.6	82.8	69.9	81.2	55.8	99.8	77.0	56.9	85.7	87.0	90	80
9	3	ირლანდია	76.7	-0.6	85.8	78.3	78.3	72.7	57.1	60.3	80.3	73.6	87.6	87.0	90	70
12	4	დიდი ბრიტანეთი	76.4	0.0	93.8	93.0	78.3	65.1	41.9	40.4	89.9	72.8	85.0	87.0	90	80
13	5	საქართველო	76.0	3.4	55.1	66.5	65.0	87.3	74.4	93.5	87.2	75.9	78.2	88.6	80	60
14	6	ლუქსემბურგი	75.9	2.0	85.8	77.0	78.3	64.5	46.0	99.0	68.6	43.8	86.2	87.0	95	80
15	7	ნიდერლანდები	75.8	1.2	87.4	69.9	85.7	53.2	57.0	83.0	80.2	70.5	85.8	87.0	90	80
16	8	ლიტვა	75.8	0.6	73.0	62.4	69.7	86.9	64.1	93.6	79.1	63.6	90.0	87.0	70	70
18	9	დანია	75.1	-0.2	86.7	68.5	84.9	57.2	5.7	96.4	93.9	85.8	85.5	87.0	90	80
19	10	შვედეთი	74.9	2.9	88.6	82.2	87.4	44.4	21.7	93.4	90.8	53.2	85.3	87.0	85	80

2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო 10 ადგილით დაწინაურდა და ამჟამად 180ქვეყანას შორის 13-ე ადგილზეა, რითიც წინ უსწრებს ყველა მეზობელ და თითქმის ყველა ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყანას. ევროპის მასშტაბით საქართველო მე-5 ადგილზეა და ჩამორჩება მხოლოდ შვეიცარიას, ესტონეთს, ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს.

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმის გეგმას ეხმიანება

შემოთავაზებული გეგმა არის რადიკალური და გამოიწვევეს მაუწყბელის სულ მცირე ერთი წლით პარალიზებას. კოალიცია მოუწოდებს საბჭოს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს კანონით დადგენილი ეს ვალდებულება და მაყურებლის უფლება, მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესახებ. 2017 წელი არის თვითმმართველობის არჩევნებისა და საკონსტიტუციო რეფორმის წელი, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს აკისრებს მნიშვნელოვან ფუნქციას მოქალაქეებს მიაწოდოს არა მხოლოდ ახალი ამბები, არამედ პროცესების მრავალმხრივი ანალიზი და შესთავაზოს მრავალფეროვანი დისკუსია აქტუალური თემების შესახებ.

სახალხო დამცველი IDFI-ის უფლების დარღვევის ფაქტზე იუსტიციის სამინისტროს სისტემას რეკომენდაციით მიმართავს

საქართველოს სახალხო დამცველმა იუსტიციის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალი 11 საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ააიპ “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ უფლების დარღვევის ფაქტი დაადგინა. სახალხო დამცველის განცხადების თანახმად აღნიშნულმა უწყებებმა არ შეასრულეს მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება გაეცათ საჯარო ინფორმაცია.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კომენტარები ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების თვითშეფასების საბოლოო ანგარიშზე

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა სამოქალაქო საზოგადოების და საჯარო დაწესებულებების თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა. სამოქმედო გეგმაში მოცემული იყო 27 ვალდებულება (29 აქტივობა), რომელიც განაწილებული იყო 16 პასუხისმგებელ უწყებას შორის. IDFI აქტიურად იყო ჩართული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების მონიტორინგის პროცესში და OGP-ს სამდივნოს სისტემატიურად წარუდგენდა საკუთარ შეფასებებს აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით.

სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების და ფარული საგამოძიებო მოქმედებების 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები



წინა წელთან შედარებით 2016 წელს სასამართლოებში ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შესული შუამდგომლობების (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება, ინფორმაციის მოხსნა კავშირგაბმულობის არხიდან, ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა კომპიუტერული სისტემიდან და სხვ.) რაოდენობა გაიზარდა 1,5-ჯერ, ხოლო მათი დაკმაყოფილების წილი - 77%-დან 92%-მდე.

2016 წელს სატელეფონო მიყურადებასთან დაკავშირებით განხილული შუამდგომლობები მთლიანი ფარული მოქმედებების მხოლოდ 9,7%-ს შეადგენდა.

2016 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ზედამხედველობა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით გავრცელდა მთლიანი ფარული საგამოძიებო მოქმედებების მხოლოდ 9,7%-ზე. წელს პირველად არის ხელმისაწვდომი სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე

2016 წელს განხილული შუამდგომლობები სასამართლოებისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წელს ყველაზე მეტი - 299 შუამდგომლობა განიხილა. დანარჩენი 102 შუამდგომლობა ნაწილდება 15 საქალაქო/რაიონულ სასამართლოზე.

2016 წლის მანძილზე განხილული შუამდგომლობების დაახლოებით ნახევარი მოდის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამ მუხლზე - თაღლითობა (70 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 180), გამოძალვა (58 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 181) და ქრთამის აღება (57 შუამდგომლობა, სსკ მუხლი 338).

კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიში: გამოწვევები და რეკომენდაციები



- IDFI რეკომენდაციით მიმართავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს და მასში შემავალ წევრებს, უახლოეს გაფართოებულ შეხვედრაზე განიხილონ GRECO-ს მონიტორინგის

ანგარიში;

- IDFI რეკომენდაციით მიმართავს GRECO-ს ანგარიშის ადრესატ საჯარო დაწესებულებებს და ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს, რომ GRECO-ს რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული საქართველოს 2017-2018 წლების ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საერთაშორისო პრაქტიკა

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, IDFI-მ შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და მოამზადა მოკლე სიტუაციური ანალიზი. მოცემული დოკუმენტის მიზანია სიტუაციური სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ზოგადი სახის ინფორმაციას მართლმსაჯულების გამჭვირვალობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის ბალანსის საკითხზე. დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს სასამართლო გადაწვეტილებათა ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, შოტლანდია, ირლანდია, კანადა, შვედეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბოსნია, და ჰერცოგოვინა, სომხეთი, ახალი ზელანდია, სლოვენია, ხორვატია, გერმანია და ავსტრალია.

ლარის გაუფასურების მიზეზები

2016 წლის დასაწყისთან შედარებით ლარი უკვე 15.6%-ით არის გაუფასურებული, ხოლო 2013 წელთან შედარებით ლარის ღირებულება დოლართან მიმართებით 69%-ით არის დაქვეითებული.

რაც შეეხება რეგიონის სხვა ვალუტებს, ყველაზე სტაბილური 2015 წელს სომხური დრამი იყო, რომელიც 2016 წელს პრაქტიკულად არც გაუფასურებულა და არც გამყარებულა. რეგიონის ქვეყნებში ყველაზე დიდი გაუფასურება თურქულმა ლირამ განიცადა, ის 2016 წელს 20.6%-ით გაუფასურდა, 17.4%-ით გაუფასურდა აზერბაიჯანული მანათი, ამის საპირისპიროდ რუსული რუბლი 2016 წელს 17% -ით გამყარდა.

სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიული ხელმისაწვდომობა კარგი მმართველობის, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და წინაპირობაა. ამ მიმართულებით იურიდიული ჩარჩოს უზრუნველყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებათა და სამართალწარმოების პროცესის შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტის არსებობა.